საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

"01" 05 2013 წ.

ქ. მცხეთა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 593/თ

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 24 აპრილის N დმ-19068 განცხადებით შპს „ავერსი-ფარმას" (მის: დავით აღმაშენებლის გამზ., 148/2, თბილისი) დირექტორმა ირაკლი ფურცელაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ოლიგოვიტი Олиговит Oligovit" (რეგ. N 19068) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ოლიგოვიტი Олиговит Oligovit" (რეგ. N 19068) საქართველოში რეგისტრირებულია 28.01.2009 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 28.01.2019 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ოლიგოვიტი Олиговит Oligovit" (რეგ. N 19068) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 240, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 01.05.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge

საქართველო
შ.პ.ს
"ავერსი-ფარმა"

0112, თბილისი, დ. აღმაშენებლის 148/2
ტელ.: 2987860, 2997970
ფაქსი: 2911906

GEORGIA
"AVERSI-PHARMA" Ltd

148/2, D. Agmashenebeli Ave., Tbilisi, 0112
Tel.: (995 32) 2987860, 2997970
Fax: (995 32) 2911906

E-Mail: info@aversi.ge WEB: www.aversi.ge

№ 61/1 "11" 04 " 2013 წ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"–ს
გენერალურ დირექტორს
ბ–ნ ირაკლი ღვალაძეს

გაცნობებთ, რომ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 18 აპრილის N59/04 ბრძანების საფუძველზე შპს „ავერსი-ფარმა"-ს კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „ოლიგოვიტი" (Oligovit, Олиговит) დარეგისტრირდა სსიპ შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში 2 წლის ვადით 2013 წლის 18 აპრილამდე.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს კანონის „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის „ოლიგოვიტი" (Oligovit, Олиговит) რეგისტრაცია სსიპ შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში 2013 წლის 18 აპრილიდან გააგრძელოთ 2 წლის ვადით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი: ირ. ფურცელაძე

შემსრულებელი: ლუბა აბაშიძე 577 502 520

შემოსულია № 19068/03
"15" 04 2013
საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
"საქპატენტი"